სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს

ბატონ მიხეილ ხმალაძეს

ამავე სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის

გიორგი მაზიაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო მიხეილ,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 18-22 მაისს საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის კავშირის IRU-ს მიერ აკრედიტაციის მეორე ფაზის განხორციელების მიზნით სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საკვალიფიკაციო ცენტრში იწყება ქართველი ინსტრუქტორების მომზადება და ტესტირება, რომელსაც გაუძღვებიან IRU-ს აკადემიის კოორდინატორების და ინსტრუქტორები,

1. ტატიანა იაშინა- IRU-ს აკადემიის პროფესიული მომზადების და პროგრამების კოორდინატორი.
2. როზა ქეივ ვუდი - IRU-ს აკადემიის სწავლების კოორდინატორი.
3. ჯეფრი ქეივ ვუდი - IRU-ს აკადემიის მთავარი ინსტრუქტორი.

აღნიშნული ღონისძიებისთვის, თქვენი დავალების შესაბამისად ვგეგმავთ შემდეგი სახის წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას, კერძოდ

| თარიღი | დრო | ღონისძიება | პერსონა |
|---|---|---|---|
| 18.05.2015 | 09:30-10:00 | ყავის შესვენება | 15 |
| | 13:00-14:00 | სადილი | 4 |
| | 16:45-17:00 | ყავის შესვენება | 15 |
| | 19:00 | ვახშამი | 8 |
| 19.05.2015 | 09:30-10:00 | ყავის შესვენება | 15 |
| | 13:00-14:00 | სადილი | 4 |
| | 16: 45-17:00 | ყავის შესვენება | 15 |
| 20.05.2015 | 09:30-10:00 | ყავის შესვენება | 15 |
| | 13:00-14:00 | სადილი | 4 |
| | 16: 45-17:00 | ყავის შესვენება | 15 |
| 21.05.2015 | 09:30-10:00 | ყავის შესვენება | 15 |
| | 13:00-14:00 | სადილი | 4 |
| | 16: 45-17:00 | ყავის შესვენება | 15 |
| 22.05.2015 | 09:30-10:00 | ყავის შესვენება | 15 |
| | 13:00-14:00 | სადილი | 4 |
| | 16: 45-17:00 | ყავის შესვენება | 15 |
| | 19:00 | ვახშამი | 6 |

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
შემოსვლის №: 261
„15" 05 2015 წ.
ფურცელი 2

ასევე, გვესაჭიროება ყავის შესვენებების ორგანიზებისთვის შემდეგი პროდუქციის შეძენა,

| დასახელება | რაოდენობა | განზომილება |
|---|---|---|
| ყავისთვის და ჩაისთვის ერთჯერადი ქაღალდის ჭიქა | 150 | ცალი |
| ერთჯერადი კოვზი | 13 | 1 შეკვრა-10 ცალი |
| ვაფლის ასორტი შოკოლადში | 3 | შეკვრა |
| ნამცხვარი ვაფლი | 5 | შეკვრა |
| ნესკაფე | 3 | 95 გ ქილა |
| წყალი | 36 | 0,5 ლ ბოთლი |
| ორცხობილა | 1 | 1 შეკვრა- 464 გ |
| ორცხობილა ნამცხვარი თხილით | 1 | 1 შეკვრა- 464 გ |
| ჩაი | 2 | 1 შეკვრა- 20 პაკეტი |
| დოზირებული შაქარი | 2 | 1 შეკვრა- 50 პაკეტი |
| ხელსახოცი | 5 | შეკვრა |
| მინერალური წყალი | 12 | 0.5 ლ ბოთლი |
| გამაგრილებელი სასმელი | 24 | 0.5 ლ ბოთლი |

*3 სიმბოლური საჩუქრები სტუმრებისთვის მხარისთვის*

| სტუმრები | 1 | 2 | 3 | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| ღვინო „მუკუზანი“ 0.75 ლ-ბოთლი | *1* | *1* | *1* | 3 |
| ღვინო „კონდოლი მწვანე-ქისი“ 0.75 ლ-ბოთლი | *1* | *1* | *1* | 3 |
| ჭაჭა „საფერავი“ 0.5 ლ-ბოთლი | *1* | *1* | *1* | 3 |
| ღვინის მუყაოს ყუთი მარანი (2 ბოთლიანი) | *1* | *1* | *1* | 3 |
| ღვინის ქაღალდის ჩანთა | *1* | *1* | *1* | 3 |

გთხოვთ, თქვენს თანხმობას ზემოთაღნიშნული ღონისძიებისთვის წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისა და შესაბამისი მომსახურებების შესყიდვის განხორციელების თაობაზე.

პატივისცემით, გიორგი მაზიაშვილი

ხელშეკრულება
GSH 180502

ქ. თბილისი 18 მაისი 2015 წ.

ერთი მხრივ, შპს "დანი 2012" (შემდგომში შემსრულებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზერუჩა ლუხუტაშვილის სახით და მეორე მხრივ სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ხმალაძის სახით ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების ვადებისა პირობების შესაბამისად „შემსრულებელი"ვალდებულია უზრუნველყოს 2015 წლის 18 მაისს „დამკვეთის" მიერ წარმოდგენილი პირების სარესტორნო მომსხურებით, მისი მართვაში მყოფ რესტორანში "ქართული სახლი" (შემდგომში "მომსახურეობა"), ხოლო „დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს "შემსრულებელს" შესრულებული მომსახურების ღირებულება.

**2. მხარეთა ვალდებულებანი**

2.1. "შემსრულებელი" ვალდებულია:

2.1.1. დამოუკიდებლად მოაწყოს თავისი სამუშაო პროცესის ორგანიზაცია და უხელმძღვანელოს მას, განსაზღვროს ხელშეკრულების საგნის შესრულებისათვის საჭირო მეთოდები, განსახორციელებელი ოპერაციების რიგითობა და ა.შ.

2.2. „დამკვეთი" ვალდებულია:

2.2.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს მომსახურების საზღაური.

**3. ანგარიშსწორების წესი**

3.1. ანგარიშსწორება იწარმოებს დამკვეთსა და შემსრულებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, ან\და „შემსრულებლის" მხრიდან „დამკვეთისათვის" შესაბამისი მომსახურების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდების დღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღეში.

3.2. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი.

3.3. გადახდის ფორმა _ ნაღდი ან უნაღდო.

**4. მხარეთა პასუხისგებლობა**

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. იმ შემთხვევაში თუ „დამკვეთი" არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადახდის პირობებს, „შემსრულებლი" უფლებამოილია „დამკვეთს" დააკისროს საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 %-ის ოდენობით.

**5. ფორს -მაჟორი**

5.1. „დამკვეთი" და „შემსრულებელი" წინამდებარე ხელშეკრულების პასუხისმგებლობისგან დროებით თავისუფლდებიან (ნაწილობრივ ან სრულად) ისეთი გარემოების შემთხვევაში, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს. დაუძლეველ გარემოებებად ითვლება: მიწისძვრა, სტიქიური უბედურებები, მასობრივი არეულობები, ელექტროენერგიის გამორთვა. ეს გარემოებები უშუალოდ უნდა ახდენდნენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებების შეუსრულებლობაზე.

**6. დავა მხარეთა შორის**

6.1. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**7. დასკვნითი დებულებები**

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და საბოლოო შესრულებამდე.

7.2. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3. ხელშეკრულების შეცვლა და შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით და ფორმდება დამატებითი შეთანხმების ან ახალი ხელშეკრულების ფორმით.

7.4. ყოველივე, რასაც არ ითვალისწინებს ხელშეკრულება, განიხილება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად თითოეული მხარისათვის.

**8.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

„დამკვეთი“

სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას .N16
სახელმწიფო ხაზინა,
ხაზინის ერთიანი ანგარიში,
ბანკის კოდი TRESGE22,
მიმღების ანგარიში №707217057
საიდ. კოდი: 401985633

მიხეილ ხმალაძე

დირექტორი

„შემსრულებელი“

შპს “დანი 2012”
მის: ქ. თბილისი, ცაბაძის #2
ს/კ 404419704
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
GE78BG0000000458896900GEL

ბერუჩა ლუხუტაშვილი

დირექტორი

წინასწარი ჩეკი

რესტორანი ქართული სახლი
ქ. თბილისი, ცაბაძის ქ.
ტელ.: +995 32 2000000
ელფოსტა: retaurant@georgianhouse.ge
==============================

ტიფლისი
59356  მაგიდა #19
თარიღი: 18/05/2015
გაიხსნა: 16:12
ბოლო შეკვეთა: 19:47
დაიბეჭდა: 23:30
მიმტანი:კაპანაძე გიორგი

---

სალათები თიფლისი
1. კიტრი პომიდორის სალათი  2x6.00=12.00
2. ქათმის ღვიძლის თბილი სალათი  1x12.00=12.00

სოუსი თიფლისი
3. ტყემალი  1x2.00=2.00
4. ტომატის საწებელი  1x2.00=2.00

ცომეული თიფლისი
5. პური შოთის  2x2.00=4.00
6. მჭადი  4x1.50=6.00
7. ხაჭაპური მეგრული პატარა  2x6.00=12.00

მწვადი თიფლისი
8. მწვადის ასორტი  1x60.00=60.00

დესერტი თიფლისი
9. ხილის ასორტი "სეზონური" გ  1x17.00=17.00

ბოსტნეულის და რძის ნაწარმის ცივი საუზმე თიფლისი
10. მწვანილის ასორტი  1x5.00=5.00
11. ფხალის ასორტი  1x12.00=12.00
12. ყველის ასორტი "ქართული"  1x17.00=17.00
13. მჟავის ასორტი დიდი  1x10.00=10.00

ხორცის ცივი საუზმე თიფლისი
14. ხორცის ასორტი (ცენტრალურის)  1x35.00=35.00

ხორცის ცხელი კერძები თიფლისი
15. წიწილა შქმერულად  1x22.00=22.00

თელავის მარანი თიფლისი
16. წინანდალი თელავის 1 ბ  2x19.00=38.00
17. მუკუზანი თელავის 1 ბ  2x38.00=76.00

გამაგრილებელი სასმელები თიფლისი
18. ბორჯომი 500მლ  2x2.20=4.40
19. ნაბეღლავი 500მლ  2x2.20=4.40
20. წყაროს წყალი სნო 750მლ  1x2.20=2.20
21. ლიმონათი "ნატახტარი"  4x2.20=8.80
22. წვენი "სანტალი" 1ლ  1x10.00=10.00

ყავა ჩაი თიფლისი
23. ყავა კაპუჩინო  1x4.00=4.00
24. ყავა თურქული  1x3.00=3.00
25. ჩაი შავი ასამი  1x4.00=4.00
26. ყავა ამერიკანო  1x4.00=4.00

ჯამი:386.80 ლარი.
+10.00%:38.68 ლარი.
სულ:425.48 ლარი.
გადასახდელია:425.48 ლარი.

კვლავ გვესტუმრეთ!